№ 60
შაბათი, 29 მარტი 1897 წ.

1877—1897

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 60
შაბათი, 29 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

## ახალი ამბავი

—

⁂ 27 მარტს, საღამოს 4 საათზედ, ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა ბ-ნ სტეფანოვიჩმა, ტფილისის გუბერნიის ექიმმა ბ-ნ ქიქოძემ და გუბერნიის ინჟენერმა ბ ნ ბუტკევიჩმა მეტეხის ციხე დაათვალიერეს.

⁂ როგორც გავიგეთ, კავკასიის რკინის გზის მართველობას ტფილისის შუა ადგილას რკინის გზის საქალაქო სადგურის დაარსება გარდაუწყვეტია, რომლის უფროსად ბ-ნი ა. ი. ნიკოფოროვი დაუნიშნავს.

⁂ გაზ. „ტიფ. ლისტ."-ს სიტყვით, გორის სადგურიდგან საქონლის გამგზავნთ რკინის გზის ჟანდარმთა მართველობის როტმის რ ზუბოვთან უჩივლიათ, რომ რკინის გზის ზოგიერთი დაბალის ხარისხის მოსამსახურენი ხშირად უკანონოდ გვახდევინებენ ფულს და თუ არ მივეცით, საქმესა და თხოვნას არ გვისრულებენო. ამ საჩივრისა გამო თითონ ბ-ნი ზუბოვი იძიებს საქმეს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მიუმართავს საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებისათვის და უთხოვნია შემატყობინეთ თქვენი აზრი მოსწავლეების კლასიდგან კლასში გადაყვანის წესის შესახებ, რომელიც შემოღებულ იქმნა 1891 წლიდგან. აქნობამდის კავკასიის ოლქში გადაჰყავდათ მოსწავლენი წლიურ ნიშნების მიხედვით და იმათ გამოსაცდელად რეპეტიციები იყო ხოლმე დანიშნული რამდენჯერმე წლის განმავლობაში.

⁂ შავი ჭირის შემოტანის წინაალმდეგ საბრძოლველად შავის ზღვით ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციას შუამდგომლობა დაუწყია სადაც ჯერ არს, რომ პოლიციის მოხელეთა რიცხვი გაამრავლონ შემდეგ ადგილებში: დ. გუდაუთში, ახალ-ათონში, ქ. სუხუმში, ოჩემჩირში, ბათუმის ოლქის სოფ. მაკრიანში და ზუგდიდის მაზრის დ. ანაკლიაში.

⁂ კავთისხევიდგან იწერებიან, რომ ამ ჟამად აქ დადიან ვილაც „მოგზაური ექიმები", სომხები და ურიებიო. სწამლობენ თვალებითა, სიმსივნითა და ბნედით ავადმყოფებს და ამ ნაირად ჰყვლეფავენ საწყალ ღარიბ მცხოვრებლებსაო. სოფელში საქონლის ჭირია გავრცელებული და სოფლის მოხელენი-კი არაფერსა ჰფიქრობენო. ამათისავე დაუდევრობის მიზეზია, რომ ამ ბოლო დროს ცხენის ქურდობა გახშირდაო.

⁂ ტფილისის სოვდაგართა საზოგადოება ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტის პირით შუამდგომლობს თურმე ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ნება მოგვეცით ტფილისში შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებელი დავაარსოთ და შევინახოთ იმ ფულით, რომელიც შემოაქვთ 1 და 2 გილდის ვაჭრებს საგილდო საბუთების გატანის დროსაო.

⁂ ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში წლიური აქტი აპრილში იქნება.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო თელავის მაზრის, სოფ. ვანთისა, ბუშათისა, ოჟიოსა, ახალგავაზისა და ქიქაანის საზოგადოებებს საზოგადო ბელლებიდგან მიჰყიდონ, ვისაც დააკლდება, ახალ მოსავლამდე ფუთი პური სამ აბაზად და სოფ. კალაურის საზოგადოებამ-კი — ფუთი სამ აბაზ უზალთუნად. შემოსული ფული მაშინვე უნდა მიემატოს სასოფლო-სამეურნეო თანხას ამა თუ იმ საზოგადოებისას.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თებერვალს დაუმტკიცებია „ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ხელ მოკლე მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების" წესდება.

⁂ გაზ. „კავკაზს" აცნობენენ: კავკასიის მთავარ-მართებლის შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეთ იმ გუბერნიის მმართველებს, რომელთა გუბერნიაშიაც კალია აღმოჩნდება, სახელმწიფო ტყიდგან მუქდად ისარგებლონ ფიჩხითა და სხვა საჭირო მასალით კალიის გასაწყვეტადაო, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მოუხსენებია ხელმწიფე იმპერატორისათვის და უმაღლესად შეუწყნარებიათ. 10 მარტს ეს განკარგულება მოსვლია კიდეც მთავარ-მართებელს გენ. გ. ს. გოლიცინს.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ქალაქის გამგეობას შეჰკრიბოს შემოწირულობა ოსმალეთიდგან გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ და გაუნაწილოს ტფილისში მყოფ გადმოსახლებულთ, არ შეუწყნარებიათ, რადგან იგი წინ დანახული არა აქვს საქალაქო დებულებას და არც 11 დეკემბრის 1896 წ. უმაღლესს ბრძანებას შეეფერებაო.

⁂ სასტატისტიკო მთავარ-კომიტეტისაგან მოუვიდა ტფილისის გუბერნატორს 8 მუქის ბრინჯაოს მედალი პირველ საყოველთაო აღწერის კომისიის მოხელეთა დასაჯილდოვებლად.

⁂ 26 მარტს „ლონდონის" სასტუმროში გენერალ-მაიორის ა. ე. ზალცის თავ-მჯდომარეობით კრება ჰქონდათ საიმპერატორო ნადირობის კავკასიის განყოფილების წევრთ.

აქ, სხვათა შორის, სასარგებლო ფრინველების გასავრცელებლად აგარაკ კურუკში კრებამ თავ-მჯდომარის წინადადებისამებრ დაადგინა: აჰკრძალოს თურაჯის ხოცვა 3 წლით. მტაცებელ ფრინველების დასახოცად კრებამ დაადგინა არ იხმაროს საწამლავი და დაჰნიშნა შემდეგი ჯილდო: ვინც 50 მტაცებელს მოჰკლავს, მივცეთ ვერცხლის ჟეტონი, თუნდა საზოგადოების წევრიც არ იყოს.

⁂ 21 მარტს სოფ. კუხში (ხონიდგან ორის ვერსის მანძილია) შემდეგი უბედურება მოხდაო, სწერენ გაზ. „კავკაზ."-ს. საღამოს რვა საათზედ, როცა ვაჭარ გორდაძის სახლობა საძილედ დაწოლას აპირებდა და კარები ჩაკეტილი ჰქონდათ, მიუცვივდნენ ყაჩაღები, კარები შეუმტვრიეს და თოფის კონდახით დაუწყეს ცემა თითონ გორდაძეს, იმის შვილობილსა და ფულებსა სთხოვდნენ. სისხლით მოსვრილები ეხვეწებოდნენ, ნუ დაგვხოცავთ, ფული ხონში გვაქვს დუქანში და აქ-კი არაფერიაო. მაშინ ყაჩაღებმა გასტეხეს კამოდი, ყუთები დაათვალიერეს და რაც მოჰხვდათ, ყველაფერი წაიღეს. გორდაძის ნათესავი ქალი ხანჯლით დასჭრეს და წაართვეს 100—120 მ. მერე გამოვიდნენ არხეინად გარედ, სადაც ოთხი სხვა ამხანაგი უცდიდათ, შესხდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას. მაშინვე შეატყობინეს ეს ამბავი ხონის ბოქაულს ტატიშვილს, რომელიც ცხელს კვალს მიჰყვა და ამბობენ, ისეთი კაცები დაიჭირა, რომლებსაც გამოსტეხავს და ათქმევინებს ყაჩაღების ვინაობასაო. ე'ს უბედური დავით გორდაძევე ამ რამდენისამე წლის წინადაც გაძარცვეს და 3000 მან. წაართვეს დუქნიდგან.

⁂ სოფ. სანება (კავკავის მაზრა). სანებასა და მის ახლო მახლო სოფლებში დიდი ფაცა-ფუცი აქვთ. აწმენდინებენ ეზოებს და აზიდვინებენ სასუქს. ამ ნაირივე განკარგულებაა გაცემული ბარის-ოსების ყველა სოფლებში.

⁂ ქარელი: ჩვენს სოფელში კერძო კაცმა ბორანი გააკეთა, რომელიც პატრონს დიდს სარგებლობას აძლევს, რადგან ბრეთელი, რუისელი და სხვა სოფლელთა მკვიდრნი ამ ბორანით გამოდიან რკინის გზის სადგურზედ, ეს არის ერთად ერთი მოკლე გზა ხსენებულ სოფელთა და რკინის გზის შუა. მაგრამ საქმე ის

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

რადა მხდი უპატიურად,
გრცხვენოდეს ღვთისაგანაო,
წვითა და დაგვით გაგზარდე,
ცრემლით გეუბენ ნანაო,
შვილო, შენს დედა-მშობელსა
ეგ მეკუთვნოდა განაო?!
ბარემ დამეცი ხანჯალიც
შენს ნაწოვნს ძუძუსთანაო!..

დ. მაჩხანელი

### უცხოთა შორის

ბერძნები, ზეთისხილი და კარაპეტა.— საბერძნეთის წარსული და რენანის აზრი.—ძლიერთა მუქარა და სუსტის თავგამოდება.—კრიტის კუნძულის მკვიდრთა და ოსმალეთის დამოკიდებულება.— რად იქცევიან ასე უცნაურად დიპლომატები?—ხალხის თანაგრძნობა ვისკენ არის?

— ერთი, თუ ღმერთი გიყვართ, სწორედ მითხარით, ვაენობა იქნება თუ არა?

— როგორ თუ ვაენობა?

— ვაენობა არ იცი? ახარ, ომი რაღა!

— მერე მე რა ვიცი? რომელი მინისტრი მე მნახე?

— ვა, გაზეთებს შენა სწერ და არ იცი? მე კი ისე გავიგე რომა, ბერძენმა და თათარმა უნდა იჩხუბონო, მერე სხვებიც მიეშველებიანო და ვაენობა ჩამოვარდებაო. ნეტა-კი ჩამოვარდეს და.

— მერე შენ რა?

— სტი მიტიკარა! ვაენობისთანა კარგი რა არის? გუშინ ჩვენი ვარჟაპეტა ვნახე, აი ისა, ჩეშმაკებით რომ დადის. ჰამა, ძალიან ნასწავლი კაცია: ფრანციცული იცის. მითხრა თუ:—კარაპეტ, ერთი იგავი უნდა გითხრაო.—იგავი რა არის-მეთქი?—იგავი ის არისო, რომა, როცა კაცი ვირსა ან ღორს ელაპარაკებაო. აი როგორც ეხლა მე შენ გელაპარაკებიო, გაიგეო?—ჰო, მეთქი, გავიგე. აბა თქვი ეგ იგავი.—ეხლაო საბერძნეთში ბევრი ზეთის ხილის ხე ამოსულაო. ბერძნებს უხარიანთო, თათრებს დავხოცავთო. ვინც ყოჩაღი ბერძენი გამოვაო, ამ ზეთის ხილის ხეს ტოტებს დავაჭრითო და თავზედ დავადებთო.—მერე ზეთის ხილს რას უზამენ-მეთქი?—რას უზამენო და გადაჰყრიანო.

— ვა, ყურუმსაღები! როგორ ეტყობათ ბერძნებს, რომ კულტურა არა ჰქონიათ! ამ დიდმარხვაში ზეთის ხილის გადაყრა გაგონილა? გირვანქა ხუთ შაურად იყიდება. იცი, მე რა უნდა ვქმნა? ჩემი ძმა ოჰანეზას უნდა მივწერო სტამბოლში, რომ როცა ვაენობა იქნება და ზეთის ხილს გადაჰყრიან, აქ გამოჰგზავნოს. რა ფული მოიგება და! მერე ვნახოთ, მაშინ თუ კაცები არ გამომიგზავნეს, კარაპეტ-აღა, ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, მოდი ღლასნათ ამოგირჩიოთო.

⁂

კარაპეტას თავი დავანებოთ. მთელი ევროპა ეხლა კრიტს შესცქერის. საბრალო კრიტელები ებრძვიან, როგორც შეუძლიანთ, ბედს, რომელმაც მათი ცხოვრება ფაშებს ჩაუგდო ხელში. დიპლომატები ძლიერა სცდილობენ, რომ ევროპას ომი აასცდინონ როგორმე. ტელეგრაფის მოხელეებს დღე-და-ღამ მოსვენება არა აქვთ, იმდენ დეპეშებს უგზავნიან ერთმანეთს ევროპის სახელმწიფონი. მთელის ქვეყნის ყურადღება საბერძნეთისაკენ არის მიქცეული, ამ პატარა ერისაკენ, რომელმაც მთელს ქვეყანას მიანიჭა მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა... ამ საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა რენანმა სთქვა სიკვდილის ჟამს: ხელ მეორედ რომ შეიძლებოდეს სიცოცხლე, მთელს ჩემს ძალ-ღონეს საბერძნეთის ისტორიის შესწავლას შევალევდიო. „საბერძნეთის ერმა მიაღწია ყველა იმას, რაც-კი ადამიანის სიამაყესა, სიდიადეს და მშვენიერებას წარმოადგენს და ეს სასწაული უფრო ძლიერ მაკვირვებს მე, ვიდრე ებრაელთა გადასვლა მეწამულ ზღვაზედაო".

დიაღ, საბერძნეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მთელ განათლებულ კაცობრიობისთვის. ოცი საუკუნე გავიდა, რაც საბერძნეთმა თავისი პოლიტიკური ძლიერება დაჰკარგა, მაგრამ მისი სატახტო ქალაქი ათინა დღესაც მთელის ქვეყნის სკოლად ითვლება. აბა მიბრძანეთ, რომელ უნივერსიტეტის პროფესორს წაუკითხავს ეხლანდელს დროში ისეთი მშვენიერი ლექცია ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შესახებ, რომელიც ეხლა საბერძნეთმა წარმოსთქვა მთელის ქვეყნის წინაში. არც საკმაო სამხედრო გემები, არც მომხრენი და, ასე წარმოიდგინეთ, არც ფული ჰქონდა საბერძნეთს და, ამისდა მიუხედავად, გაჰგზავნა ორიოდე გემი კრიტის კუნძულისაკენ და ერთგულ მამულიშვილთა ბედი ჩააბარა მეფის ძეს გიორგის... პაწია საბერძნეთმა ყურიც არ ათხოვა მთელის ევროპის დიპლომატიას და ისე მოიქცა, როგორც, მისის აზრით, წმიდა მოვალეობა მოი-

არის, რომ ეს ბორანი სანახევროდ დამპალ ფიცრებისაგან არის აკონკილი და საფიქრალია, რომ ამ წყალდიდობის დროს არ დაირღვეს და უბედურება არა მოხდეს-რაო. (ტფ. ფურც.)

*** ერთს სასიამოვნო ამბავს გვწერენ ჩვენ: დაბა საჩხერის (შორაპნის მაზრა) ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ საქარის სანერგის უფროს აგრონომ ბ-ნ სტაროსელსკისათვის ქაღალდი მიურთმევიათ და უთხოვნიათ, რომ დარიგებანი დაჰბეჭდეთ ქართულს ენაზედ ამერიკულის ვაზის მოვლა-მოშენებისა და დაავადმყოფებულ ვაზის წამლობის შესახებ, რადგან ასეთი დარიგებანი აუცილებელს საჭიროებას შეადგენს სოფლის ხალხისათვისაო. ბ-ნი ვ. ა. სტაროსელსკის აღუთქვამს, რომ თქვენს თხოვნას შევასრულებო. რაღა თქმა უნდა, ხალხის სურვილს ბ-ნი სტაროსელსკიც, ფილოქსერო კომიტეტიცა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაც დიდის სიხარულით მიეგებებიან და რა-კი ხალხში ასეთი სურვილი აღიძრა და თითონვე თხოულობს მცირე რამ დახმარებას, ამ თხოვნას დაუყოვნებლივ შეუსრულებენ.

*** მერეთი (გორის მაზრა). აქაურს სასწავლებელში შემოიღეს ხელ-საქმის სწავლება. მასწავლებლად მიიწვიეს აქაურივე მცხოვრები და კარგად მცოდნე ყოველ გვარის ხელსაქმისა, ქ-ნი მაკრინე პეტრეს ასული მესხიშვილისა. მაგრამ რადგანაც ბავშებს არა აქვთ შეძლება, რომ მოიტანონ თავიანთი მასალა და თავიანთისავე მასალით ისწავლონ, ამისათვის აქაურ მცხოვრებმა და არა მცხოვრებმა აზნაურიშვილებმა გაიწერეს, რომ წელიწადში სამი მანეთი გადიხადონ და ამ ფულით იყიდონ ყველა საჭირო მასალა და იარაღი ჭრა-კერვისა და ხელ-საქმისათვის.

*** 26 მარტს, დილის 12 საათზედ, ტფილისის საუსნოს ზეითალმა, ქალაქის აგენტმა და პოლიციის მოხელემ დოროფეი კოკტუნენკოს სამეხვე დაათვალიერეს და შვიდი ფუთი გაფუჭებული ხორცი აღმოაჩინეს, მეხვისთვის დამზადებული. გაფუჭებული ხორცი გადაჰყარეს და კოკტუნენკოს ოქმი შეუდგინეს.

*** 27 მარტს „საქსონიის“ ნომრებში ალექსანდრეპოლის მე-2 გილდის ვაჭარმა პეტრე დრამპოიანცმა თავის მოწამვლა განიზრახა და რაღაც საწამლავი დალია. ავადმყოფი მისმა ამხანაგებმა მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. გამოძიება სწარმოებს.

*** 27 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ალექსანდრეს ქუჩაზედ (მ-9 განყოფილებაში), ბებია-ქალის მარიამ ივ. ფაროსტიანოვის სამშობიარო თავშესაფარის კარებთან, მელქუმოვის სახლში, მიგდებული ბავშვი იპოვნეს, რომელიც ორის თვისა უნდა იყოს. ბავშვის გაზრდა ფაროსტინოვისამ იკისრა.

---

**ტფილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების წლისთავის კრება.**

(დასასრული *)

ბ-ნი ხელაძე: მე თუმცა ამ თხოვნაზე ხელი არ მიწერია, მაგრამ კი თანავუგრძნობ მთლად და თანახმა ვარ იმ 15 კაცისა.

აქ ბ-ნმა ხელაძემ გააბა ლაპარაკი იმაზე, რომ ერთად-ერთი შვილი ჰყავს, ყველაფერი იმისათვის უნდა, იმისათვის ირჯება და იღვწის; რომ მე ანგარი კაცი არა ვარო, ანგარი რომ ვყოფილიყავ აქამდე ნახევარ მილლიონი მექნებოდაო და ბევრს სხვა ამისთანა ლათაიებზე მოაცდინა კრება ასე, რომ ბ-ნი თავმჯდომარე იძულებულ შეიქმნა ორჯელ, თუ სამჯერ ეთხოვნა ამ ნავარდად წასულ ორატორისათვის, — საქმეზე ილაპარაკეთო. ბოლოს თავისი სიტყვა ბ-ნმა ხელაძემ ასე დაასრულა:

— ჩემი შვილი ამ ბანკში მსახურობს, მე თვითონ წევრი ვარ მე ამ ბანკისა და საკუთარი სტამბა მაქვს. მგონია, ყოველი ესე საბუთს მაძლევდა იმედი მქონოდა, რომ გამგეობა, რაც დასაბეჭდი ექნებოდათ, მე მომცემდა დასაბეჭდავად ჩემს სტამბაში. მივმართე გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნს განზიელს და სხვებსაც, მაგრამ ჩემი თხოვნა არ შეიწყნარეს, აიღეს და რაც საბეჭდი ჰქონდათ, სხვა ტომის კაცის სტამბას გადასცეს. ამ სახით სხვა ახეირეს და მე-კი არა. განა უფრო უპრიანი არ იყო ჩემთვის მოეცათ ეგ საქმე, რომ ცოტას რასმე გამოვრჩენოდი. განა ინტერესი არ არის ჩემთვის ეგ საქმე ჩემთვის მოეცათ! აი მე რაზედ ვემდურები მაგათ.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. არავინ ხმას არ იღებს. 15 კაცთაგან ერთმაც არ მოიწადინა ხმა ამოეღო და თავისი საჩივარი რითიმე დაესაბუთებინა. ბ-ნ ხელაძის სიტყვამ ხომ პირ-და-პირ დაანახვა საზოგადოებას, რომ აქ პირადი ანგარიში ჰლაპარაკობს და არა საბუთი. ხმა არ ამოიღო თვით იმ ქართველმა აზნაურმა, რომელსაც დ. კეზელი ჰქვიან და რომელსაც სხვათა შორის ხელი აქვს მოწერილი თხოვნაზე. ყველა გაოცებით აქედ იქით იყურება, თითქო იკითხებიან: ეს რა ამბავიაო! მთელმა 15 კაცმა შებღალა საზოგადოების რჩეულნი კაცნი და ერთიც-კი საჭიროდ არა ჰრაცხს საბუთი დაუსახელოს კრებას.

ბოლოს წამოდგა ბ-ნი მამინეიშვილი, პურ-ღვინოს რესტორანის პატრონი, რომელსაც ხელი უწერია 15 კაცის თხოვნაზე. ამან გააბა გძელი ლაპარაკი იმაზე, რომ მისთვის და ზოგიერთებს სხვებისათვისაც ბანკს ფული იმოდენა არ უსესხებია, რამდენიც ჰსურვებიათ და ამიტომ უვარგისად ჰხადის თ. მიქელაძეს და ბ-ნებს თულაშვილს, საგინაშვილს და ხიზანაშვილს და ითხოვს მათს დათხოვნასა.

ბ-ნს მამინეიშვილს ჰკითხეს: გამგეობაში ხომ მარტო თ. მიქელაძე არ არის და საბჭოში მარტო ბ-ნები თულაშვილი, საგინაშვილი და ხიზანაშვილი! ფულის გაცემის საქმეში მარტო ეგენი ხომ არ არიან, ბევრიც სხვაა და რაღა მარტო ეგენი ამოარჩიეთო.

ბ-ნი თოიძე: მე სრულად ვეთანხმები მამინეიშვილს და მეც მოვაწერდი ხელს მაგ თხოვნას თუ რომ საჩივარი მთელს მართველობაზე ყოფილიყო და არა ერთსა და ორს კაცზე. ხალხში სამდურავი ისმის მარტო თ. მიქელაძეზე. მართველობის მიერ გადაწყვეტილს მარტო ეგ აუწყებს ხოლმე მსესხებელთ და მსესხებელნიც მარტო მაგას ემდურიან, თუ ან ნაკლებ ფულს აძლევენ სესხად, ან სულ უარს ეუბნებიან. მოგეხსენებათ, რომ გამოტანილი ფული მსესხებელს საქმისათვის უნდა და როცა ამ ფულს ან ცოტას იძლევიან, ან სულ არა, წვრილ ვაჭრებს ძნელი საქმე მოსდით, ხელს ვერსად იმართვენ. აქ წვრილი მოსაქმეც ჰზარალობს და ბანკიცა. აქ ბრალი მთელის მართველობისაა და არა სამისა და ოთხის კაცისა. მართველობამ იმოდენა ფხაც ვერ გამოიჩინა, რომ ყველას შეეტყო ბანკის არსებობა. ბევრი ქალაქელი ქართველია, რომ არც-კი იცის არის ეს ბანკი თუ არა. მამინეიშვილი ჩემი ამხანაგია, ერთად გვიჭირავს რესტორანი. ეგ მარტო თ. მიქელაძეს ემდურება, როგორც ბევრი სხვაც და როგორც რესტორატორის ამბავი მოგეხსენებათ, რომ საჭმელს „უგარნიროდ“ არავის მიართმევს, ამიტომაც თ. მიქელაძეს „გარნირად“ სხვებიც თან მიაყოლა.

ბ-ნი თავ-მჯდომარე: მე მგონია, საგანი მთლად გამოირკვა და ეხლა საქმე მზად არის გადასაწყვეტად.

თ. ი. ჭავჭავაძე: საქმე გამოირკვა, მაგრამ არა ის მითამდა საბუთები, რომელიც ბ-ნებმა ხელაძემ და მამინეიშვილმა აქ წინ გადაგვიშალეს და გთხოვთ ნება მომცეთ ამ საბუთებზედ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. ბ-ნმა ხელაძემ, რომელიც ასე თავსა სდებს უანგარობაზე, რა მიზეზი დაგვისახელა კიცხვა-კილვისა? განა ცხადი არ არის, რომ მის მიერ დასახელებულ მიზეზში ცოტა არ იყოს ანგარება ურევია. ინტერესი მქონდა დასაბეჭდი საქმე ჩემთვის მოეცათო და არ მომცესო და აი მიზეზი მმართველობის განკიცხვისაო. თუ აქ ანგარება არ არის, ანგარების სათავესთან ხომ ახლოა. მისი უანგარობის ფიცი გვწამს და ამისთანა ცოტა არ იყოს ანგარული სიტყვა-კი გვაკვირვებს. გაგონილა სადმე კაცმა ოთხი რჩეული კაცი შეგვირცხვინოს იმ საბუთით, რომ მე მინდოდა გამორჩომა მქონოდა და არ მომცესო. ამისთანა ქვენა ფარდების საზრისი ბ საბუთი მარტო ჩვენში თუა შესაძლებელი, თორემ არსად სხვაგან. თუ არ ძაგება, სხვა რა წამალი უნდა დაედოს ამისთანა საქციელს. ბ-ნი მამინეიშვილი კი განა შორს არის ბ-ნ ხელაძეზე? იგიც გვიწუნებს და საქვეყნოდ გვირცხვენს ჩვენს რჩეულს კაცებს მარტო იმიტომ, რომ იმდენი ფული არ მასესხეს, რამდენიც მინდოდა და ამიტომ უვარგისნი არიან და დაითხოვეთო. ბატონებო, სადა ვართ, რომ ამისთანა საბუთით თავსა სჭრიან, ჩირქს ჰცხებენ უვარგისობისას კაცებს, რომელთაც ჩვენ მივანდეთ ეს ახლად შობილი ჩვენი საზოგადო საქმე და რომელთაც ჩვენს წინაშე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, გარდა იმისა, რომ თავისის უფლების სამზღვრებში უმოქმედნიათ. ამ სტამბაში დაბეჭდავს გამგეობა, თუ იმ სტამბაში რაც საჭიროა, ბევრი უნდა მისცეს სესხად ფული, თუ ცოტა — ეგ ბანკის ხელ-შეუხებელი უფლებაა და ხელი ვერავის მიუწვდება აქ უთხრას რამე. პასუხის მგებელნი მარტო ეგენი არიან და ნუთუ უნდა ვემდუროდეთ, რომ იგინი წინდახედულად და თავისს სინიდისისამებრ იქცევიან, ფრთხილობენ და აქედ-იქით უანგარიშოდ არა ჰფანტვენ ჩვენ მიერ მიბარებულს ქონებას. თუ ერთს ვისმეს შეცდომით ან ნაკლები ფული გადუწყვიტეს, ან სულ უარი უთხრეს, კიდევ ისა სჯობია შეცდომა აქედ იყოს, ბანკისაკენ და არა პირ-იქით, ბანკის საზიანოდ. ეგრე ფრთხილად და წინდახედულად რომ მოქცეულან, სწორედ ამისი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ წელიწად-ნახევარში მარტო 1200 მანეთი-ღა დაგვედვა, როცა გვეგულებოდა 7000 მანეთი და მარტო 150 მანეთის ვექსილი დაგვრჩენია გაუნაღდებელი. სხვისა არ ვიცი და ჩემთვის-კი ეს ასეთი შედეგი მართველობის მოქმედებისა ამ წელიწად-ნახევარში თითით საჩვენებელი საქები მაგალითია. ამ პატარა, თითქმის გროშებით დაწყებულმა ბანკმა რვაას თუმანზე მეტს ხარჯს გაუძლო და თითქმის სამასი ათასი მანეთი სესხში დაატრიალა და მარტო ას ოცი თუმანი დაგვედვა და 150 მანეთის ვექსილი არ გაგვინაღდა. მეტი განა შესაძლებელი-ღაა! ქართველს კაცს ბევრი ცუდი რამ გვჭირს, მაგრამ უმადურობა-კი დღეს აქამომდე ჩვენზე შორს იყო. მადლობის მაგიერ გამოსულან ეხლა და გვეუბნებიან უვარგისნი არიან და განდევნეთო. რა დაუშავებიათ იმ ოთხს კაცს, რომელთაც ასე უკად-

*) იხ. „ივერია“ № 59.

---

თხოვდა, დაეხმარა თავისს ძმებს, რომლებსაც ოსმალეთის ხელში ლაჩის სული ამოჰხდეთ. აბა მიბრძანეთ, რომელ სახელმწიფოს გამოუჩენია ეხლანდელს დროში ასეთი გმირობა, ასეთი თავ-გამოდება და თავ-განწირვა თავის მოძმეთათვის. მთელის ევროპის მუქარამაც-კი ვერ დააშლევინა საბერძნეთს სამართლიანს გულის თქმას აჰყოლოდა...

***

ეხლანდელი ამბოხება კრიტის მცხოვრებთა ახალი ამბავი არ არის. აჯანყება დაიწყო ჯერ ისევ 1770 წელს. მას აქეთ ამაოდ ებრძვიან კრიტელები თავისს ბედსა და სცდილობენ თავისუფლება მოიპოვონ როგორმე. კრიტელები რამდენჯერმე აჯანყდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ 1858, 1868 და 1896 წლებში, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მთელი კუნძული კრიტისა მოირწყო ბერძნების სისხლით. ოსმალებმა მრავალჯერ დასწვეს და აიკლეს მათი სახლები, გააპატიურეს დედა-წულნი... ევროპა წინ აღუდგა ოსმალეთის ასეთს ქცევას და დიდხანს სხვა-და-სხვა მიწერილობას, ეგრედ წოდებულ „ნოტას“ უგზავნიდა. როცა-კი ძალას დაატანდა ევროპა ოსმალეთს, ისიც შეჰპირდებოდა ათასს გვარს „რეფორმებს“, მაგრამ დაპირება მხოლოდ დაპირებადვე ჰრჩებოდა. ასე მოხდა შარშანაც. კრიტის მცხოვრებნი აჯანყდნენ, ევროპა ჩაერია ამ საქმეში და ოსმალეთმა გამოაცხადა, კრიტს დიდის სიამოვნებით თავისუფლებას მივანიჭებთ, დაე, თავიანთი საქმე, როგორც ენებოთ, ისე განაგონო. გუბერნატორსაც-კი ქრისტიანს დავუყენებთო. გავიდა რამდენიმე თთვე და ოსმალეთის დაპირებამ ჩაილუღის წყალი დალია. ბრწყინვალე პორტამ კრიტის გუბერნატორად კვლავ ოსმალელი დააყენა და ბერძნებს დევნა დაუწყო. მოთმინება გამოლეულმა დიპლომატებმა აბდულ-ჰამიდს მუქარა შეუთვალეს. ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ ოსმალები თავს დასცემოდნენ კრიტის მცხოვრებ ბერძნებს და კვლავ დაწყებულიყო ქრისტიანების სისხლის ღვრა და მათი აკლება... რა საკვირველია ამის შემდეგ, რომ მთელი საბერძნეთი აღევლდა და ამ აღელვებას წინ ვერ აღუდგებოდნენ ვერც მეფე გიორგი და ვერც მისი მინისტრები?!.

რაც მოხდა შემდეგ, მკითხველმა უკვე იცის: დიდმა სახელმწიფოებმა თვისი გემები გაჰგზავნეს კანეაში, ბერძნებმა კიდევ თავისი გემები მიაშველეს აჯანყებულთ და ამ ჟამად საქმე ისეა გამწვავებული, ხვალ რომ საბერძნეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადოს, არავის გაუკვირდება.

დიაღ, ეს საკვირველი არ იქნება, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა საქციელი კი სწორედ რომ საკვირველია. როდესაც ქრისტიანების სისხლსა ჰღვრიდნენ ოსმალები და იკლებდნენ, ევროპა ოცს კაცსა ჰგზავნიდა, ვითომ და მათ მისაშველებლად, და ეხლა-კი, როდესაც ოსმალეთის უფლების დაცვა დასჭირდა, კრიტს ათასი გემი მიაყენეს და ალყაც შემოარტყეს. რადა? დიპლომატები ასე ბრძანებენ, ოსმალეთის ხელ-შეუხებლობა საჭიროა ჩვენთვისაო. და ამ საჭიროებისა გამო მზად არიან ამოსწყვიტონ ბერძნების ჯარი და მთელი იმათი ფლოტი დაჰღუპონ.

***

1827 წელს ოსმალეთის სამხედრო გემები სულ ერთიანად გაანადგურეს და ეხლა-კი, 70 წლის შემდეგ, საბერძნეთს ემუქრებიან განადგურებას, ოსმალეთის ხელიდგან თავის დახსნას ნუ ჰფიქრობ, თორემ შენს მოსისხლე მტერს, შენს მტანჯველსა და მტარვალს ჩვენ დავეხმარებით და ამ საგმირო საქმისათვის მოვიმხრობთ იტალიას, ავსტრიასა და გერმანიასაო, თითქოს, თუ საქმე ომზედ მიდგა, მარტო ოსმალეთი-კი არ ეყოფა პაწია საბერძნეთს. აი ეს გახლავთ დიდთა სახელმწიფოთა დიპლომატია და პოლიტიკა. სწორედ მოგახსენოთ, ოსმალეთის ეს რაღაც ხელ-შეუხებლობა, რომელიც ხელზედ დაუხვევია დიპლომატიას, სიმართლეს ძალიან ხელს უშლის და ძნელი გასაგები რამ არის! რაღა ეხლა მოუნდათ ფიქრი ამ ხელ-შეუხებლობისათვის? რატომ მაშინ არა ჰფიქრობდნენ ამას, როდესაც ოსმალეთს ჩამოაცალეს მოლდავია, ვალაქია, ყარსი, ბათუმი, ბოლგარია, თესალია, ბოსნია, ჰერცოგოვინა, კიპრი, აღმოსავლეთ-რუმელია?.. მაგრამ, ჰო, მაშინ სხვა საქმე გახლდათ, ყველას თითო ლუკმა ერგო და ეხლაც იმას ჰფიქრობენ, რომ, თუ აღარ იქმნა და ადარ, კრიტის საქმე გამწვავდა და ამ საპოლიტიკო საბძელს ცეცხლი წაეკიდა, ყველამ ხელი უნდა მოვითბოთო...

ა. ნ.

რისად და უსაბუთოდ ჩირქს სცხებენ? თუ თავისით არა უთავნიათ-რა, ის სიკეთე მაინც ჰქონიათ, რომ სხვებთან ერთად თანხმად უვლიათ ასე კარგად საქმის წარმართვისათვის. აბა ერთი აქედ იქით გაესესხებინათ ფული წინ დაუხედავად და გაუფრთხილებლად და ერთი ორი ათასი თუმანი გაუნაღდებელი ვექსილები ხელთ შერჩენოდათ, მაშინ ხომ ქვით ჩააქვავებდნენ საქმის გამგეთა და თვითონ ეგ ხუთმეტი კაცი პირველი აუგებდა საქოლავსა. მმართველობის წინ დახედულობამ და სიფრთხილემ დაგვიხსნა ამ უბედურებისაგან და მადლობის მაგიერ სამარცხვინო უვარგისობასა სწამებენ, მარტო იმიტომ რომ ერთისათვის იჯარა ბეჭედისა არ მიუციათ, მეორესათვის იმდენი არ უსესხებიათ, რამდენიც სდომებია. აი სათავე ანუ სადედე ჩვენის საზოგადოების ხრწნილებისა სად არის ჩვენდა საუბედუროდ. განა სხვაგან სადმე შესაძლებელია ამისთანა საბუთებით კაცი შეგინებულ-შებღალულ იქმნას! განა ამ საბუთებში ჰქვათა მყოფელი კაცი სხვას რასმეს იპოვის, გარდა იმისა, რომ 15-ს კაცს მოუსურვებია სირცხვილი მიაყენოს ოთხს ბანკის მართველობის კაცს და მასთან ერთად ჩვენც, რადგანაც ჩვენი ამორჩეულნი კაცნი არიან. ეგრე წარამარად ნურავის შეალახვინებთ, ნურავის შეაგინებინებთ თქვენგან სანდოდ ამორჩეულ კაცის სახელს. თუ იმ 15-ს კაცს არ ესმის ღირსება ადამიანისა, ჩვენ ჩვენის განაჩენით ვაცოდინოთ, რომ ამის ნებას არავის მივცემთ. ან ის რა ამბავია, რით უნდა ავლხსნათ, რომ მთელის ბანკის მართველობიდამ მარტო ოთხი კაცი ამოურჩევიათ და იმათი უვარგისობა გამოუქვეყნებიათ. იქ ბევრი სხვაც არის. რადა მარტო ეს ოთხი კაცი გასჩხირებიათ თვალში? დაუფიქრდით ამ გარემოებასაც და იკითხეთ: დევნა მარტო ამ ოთხის კაცისა რის მომასწავებელია? უნდა გვცხვენოდეს, რომ ჩვენში ამისთანა საქციელები შესაძლებელია და ამიტომ კიდევ ვითხოვ ძაგებით უარ-ჰყოთ 15-ის კაცის უსაბუთო თხოვნა. ამას ითხოვს ჩვენი კაცური-კაცობა და საკუთარი ღირსება მთელის კრებისა, რომელიც მთელს საზოგადოებას წარმოადგენს.

ხმაურობაა. ამ ხმაურობაში ისმის: უკანვე წაიღონ ეგ თხოვნა.

თ. ი. ჭავჭავაძე: არა, ბატონებო, დეე დარჩეს ეგ თხოვნა საქმეებში, ვითარცა სამარცხვინო სახსოვარი სამარცხვინო საქციელისა. სხვანი მაინც გაფრთხილდებიან და შეიტყობენ, რა ვაი-ვაგლახები გამოუვლიათ ჩვენში საზოგადო საქმეებისათვის მოღვაწეებს. ჩვენი ბანკის საქმე ახალი საქმეა, ჯერ თითქმის ძუძუსა სწოვს და ვინც ძუძუს აწვდის, იმასვე ვკბენთ. დეე ჩვენთა შემდეგთა იცოდინონ, რა დღეში ყოფილან ჩვენში ჩვენგანვე ისინი, ვისაც უკისრნია აწ უმადური საქმე საზოგადოების სამსახურისა.

ბ-ნი ფ. ყიფიანი: უარ-ვყოთ თხოვნა, ხოლო ძაგებით ხსენებას მისას თავი დავანებოთ. ეგ შემდეგში საბუთიანს წუნსა და სამდურავსაც გზას შეუკრავს და მართლა გასაკიცხიც რომ იყოს რამ, ხმას არავინ ამოიღებს.

თუმცა ბ-ნს ყიფიანს სიტყვა არავინ შეუბრუნა, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია. თუ საბუთი იქნება, საბუთით განკითხვას წინ არა დაუდგება-რა, ნამეტნავად საზოგადო საქმეში. მართალი ყოველთვის თამამია, გამბედავი და უშიშარი. ტყუილი და პირადი ანგარიშები და სხვა ამისთანა დაბალის ღობის გამოკიდება რამდენადაც შეშინებული იქნება და გაუბედავი, იმოდენად სამჯობინარია და აქ მეტის-მეტის ალაგმაც მარგებელია საზოგადოების სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობისათვის.

განაჩენი კრებისა ამ 15 კაცის თხოვნის გამო უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მამათი,** (გურია). ჩვენში სწავლა განათლებას დიდს ყურადღებას აქცევენ, მაგრამ მაინც, საუბედუროდ, რამდენიმე სოფელი სრულიად მოკლებული იყო სასწავლებელს. სოფელ მამათში, რომელიც მდებარეობს მიმითის და ჯუმათის საზღვრებზედ, იშვიათად შეხვდებით ისეთს გლეხს, რომ ხელის მოწერა იცოდეს. თითქმის სამი წელიწადია, რაც აქ დანიშნეს ახლად ნაკურთხი მღვდელი მამა კალისტრატე ხელაძე, რომელმაც მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ საგანს; ერთი წელიწადია, რაც ნებართვა აიღო მთავრობისაგან სამრევლო სასწავლებლის დაარსებისა და ეს სურვილი საკუთარის ხარჯით განახორციელა, მოიწვია კარგა განვითარებული მასწავლებელი, დაუთმო მოსწავლეებს თავისი სახლი, შეკრიბა ორმოცამდე უმაწვილი და გააჩაღა სწავლა რუსულ-ქართულ ენაზედ. ამას წინად მოხდა წირვის მოსმენა მამათის ეკკლესიაში. წირვა ახალად დაწყებული იყო. მასწავლებელი კუპრაძე და მისი მოსწავლენი საგალობელ ადგილას იდგნენ. დაიწყო თუ არა მღვდელმა: „კურთხეულ არს“ მშვენიერის ხმით და კილოთი დასძახეს პატარა მოსწავლეებმა: „უფალო, შემიწყალენ“! ასე მთელის წირვას წესი ქართულის გალობით დაასრულეს პატარა მოსწავლეებმა.

მადლობის ღირსია მღვდელი მამა კალისტრატე ხელაძე ასეთის გამჭრიახობისათვის და კარგს იზამდნენ იმასვე მიჰბაძავდნენ სხვა სოფლების მღვდლები, რომ ცოტაოდნად მაინც თვალი აუხილონ გადარიბ-გადატაკებულს სოფლის ხალხს.

ს. ერმონაშვილი

**სოფ. დირბი** (გორის მაზრა). 15 მარტს გარდაიცვალა და 18-ს დაასაფლავეს დირბის ეკკლესიის მღვდელი პეტრე სამადაღაშვილი. განსვენებული 48 წელს და 6 თვეს იყო ამ სოფელში მღვდლად და ამ ხანგრძლივის სამსახურის განმავლობაში აქაურს მკვიდრთა შორის დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს საკვირველიც არ არის, რადგან განსვენებული ყველასთან თავ-მდაბალი და ლმობიერი იყო. მთელს სოფელში ძვირად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც პეტრე მღვდლისაგან რაიმე წყენა ახსოვდეს; ყველა გაჭირვებულისა, ქვრივ-ობლისა და დავრდომილისათვის იგი იყო არა მარტო სულიერი მამა, არა მარტო ქრისტიანობრივის დარიგებით მანუგეშებელი, არამედ ქონებრივს დახმარებასაც უწევდა, თუმცა მამა პეტრე არც იმდენად შეძლებული კაცი იყო. მართლაც რომ ძვირად შეხვდებით ისეთს სოფელს, სადაც მღვდელსა და მრევლს შორის ისეთი ჭეშმარიტი ქრისტიანური და ნამდვილ მამაშვილური განწყობილება არსებობდეს, როგორც მამა პეტრესა და დირბელებს შორის იყო. და სწორედ ამით აიხსნება, რომ მისმა გარდაცვალებამ მთელი მისი სამწყსო, განურჩევლად სქესისა, შეძლებისა და წლოვანებისა, ერთობ დააღონა.

მამა პეტრეს დაკრძალვის დროს ბლაღოჩინმა გიორგი ედილაშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მსმენელთ დაუსურათ ხატა, განსვენებულს თავისს მრევლზედ რა დიდი ზნეობრიული ზედგავლენა ჰქონდა და როგორი სიყვარული და პატივი მოიპოვა. სიტყვამ დამსწრე საზოგადოებაზედ დიდად იმოქმედა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინწინდელს გაზ. „კავკაზ“-ში (№ 81) საყურადღებო წერილია დაბეჭდილი რედაქციის მიმართ ჩვენის ქალაქის გულ-ახდილ მკვიდრისა ქალაქის უძრავ ქონებათა დასაფასებელ ხარჯის შესახებ. წერილის ავტორს შემთხვევით გადაუთვალიერებია ამომრჩეველთა სიები, სადაც ყოველის ამომრჩევლის გვარის პირდაპირ აღნიშნულია ფასი იმის მამულისა, და გაოცებულა, ასე ნაკლებად რად არის დაფასებული ამდენი მამულები, როდესაც იგია უმთავრესი წყარო ქალაქის შემოსავლისა. ეხლა მესმისო, ამბობს იგი, რატომ არის ქალაქის ქისა ისე ცარიელი, რატომ არასა ჰზრუნავს ჩვენი თვითმართველობა არც ქალაქის კეთილად მოწყობისა, არც განათლების საქმის განკარგებისათვის და ყოველთვის დეფიციტი რადაცა აქვსო.

ქალაქის მამულები საზოგადოდ გაცილებით ნაკლებად არის დაფასებული ნამდვილ ღირებულობასთან შედარებით, თუმცა არა ყოველთვისკი. მაგალითებრ, ზოგიერთს შემთხვევაში ეს დაფასება თითქმის უდრის ნამდვილს ფასს მამულისას, უმეტესად-კი მამულები ერთი ნახევრად და $^1/_3$-ად ნაკლებად არის ღირებულობასთან შედარებით დაფასებული. ამასთან ჩემდა უნებურად მიაქცია ყურადღება იმასაც, რომ მამულების დამფასებელნი, თუმცა ძალიან ხათრიჯამნი არიან საზოგადოდ ყველას მიმართ, მაგრამ უფრო სწორედ აფასებენ იმ მამულებს, რომლებიც „კულტურულ-ეკონომიურს ნიადაგზედ ატეხილს ბრძოლაში“ დამლეულ ქართველებს ეკუთვნით და აგრეთვე რუსებს და, პირ-იქით, ამ სისწორესა და სიმართლეს ძალიან გაურბიან, როდესაც გამარჯვებულთა „ქალაქის გარდასახადთა უმთავრესს გარდამხდელთა“ მამულებს აფასებენო.

რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს მისი ნათქვამი, ავტორს მაგალითებიც მოჰყავს იმის დასასაბუთებლად, თუ დამფასებელნი რა მცირე ფასად აფასებენ ზოგიერთების მამულებს, რადა თქმა უნდა, იმ აშკარა აზრით, რომ თავისს მეგვარეებს შეუმსუბუქონ სიმძიმე გარდასახადისა. ავტორი მთელს ნუსხას აღნიშნავს იმათის გვარებისას, რომელთა მამულიც მცირე ფასად არის დაფასებული, და იქვე სწერს დაფასების რაოდენობასაცა და ღირებულობის სულ მცირედს რაოდენობასაც. აი ნუსხა:

| გვარები: | ქალ. ღირებ. | ნამდვილი ფასი. |
|---|---|---|
| ავაქოვი ს. თ. . . . | 16,575 | 30,000 |
| აივაზიანცი ა. ა. . . . | 10,360 | 28,000 |
| აკოფოვი ს. მ. ხმოს. . | 1,980 | 40,000 |
| ალიბეგოვი პ. ი. . . | 14,000 | 35,000 |
| არაქელოვი გ. მ. . . | [illegible]20,000 | 150,000 |
| არუთინოვი დ. მ. . . | 17,200 | 35,000 |
| ათაბეგოვი ნ. ა. . . | 11,550 | 35,000 |
| ბუღდანოვი ი. ს. ხმოს. | 16,320 | 30,000 |
| ბერიევი ბ. გრ. . . . | 34,550 | 100,000 |
| ვართანოვი ბ. თ. . . | 2,070 | 40,000 |
| გრიქუროვი ნ. ა. ხმოს. | 3,284 | 15,000 |
| დოლუხანოვი მ. ი. ხმოს. | 18,000 | 30,000 |
| ყაზარიანცი მ. ი. . . | 7,000 | 20,000 |
| ყარაჯევი ი. ე. . . . | 7700 | 20000 |
| ქეფინოვი ვ. ს. . . . | 7550 | 15000 |
| ყორღანოვისა თ. ზ. . | 10,062 | 30,000 |
| ყორღანოვი გ. გ. ხმოს. | 34,000 | 160,000 |
| ყორღანოვი ვ. ს. ხმოს. | 44,786 | 120,000 |
| კუსიკოვი ნ. ს. . . . . | 12,847 | 30,000 |
| ლუნკევიჩი მ. ვ. ხმოს. | 9,750 | 17,000 |
| მარდანოვი ვ. ლ. . . | 22,020 | 40,000 |
| ანანოვის სკოლა . . . | 154,025 | 30,000 |
| მელიქ-კარაგოზოვი პ. კ. ხმოსნად ნამყოფი . . | 17,000 | 400,000 |
| ფრიდონოვი ნ. თ. ხმოს. | 79,356 | 110,000 |
| ფრიდონოვი ნ. პ. ხმოს. | 37,600 | 65,000 |
| ტერ-ოსიფიანცი ი. ა. . | 35,730 | 80,000 |
| ტერ-ასატუროვი გ. ბ. ხმოსანი . . . . . | 28,672 | 70,000 |
| ძმ. თუმანოვები („Нов. Обоз.“ პატრ.) . . . | 38,360 | 100,000 |
| წურინოვი ა. ს. ხმოს. | 68,375 | 100,000 |
| მელიქ-კარაგოზოვი და დოლუხანოვი . . . | 20,400 | 60,000, |
| თამამშოვის ქარვასლა . | 340,000 | 1000000 |

ასეთი წესი ქალაქის მამულების დაფასებისაო, დასძენს დასასრულ წერილის ავტორი: მართალია, წესიერი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, მისის მიზეზის გამოცნობა ძნელი არ არის, როდესაც „კულტურული ბრძოლა“ აქვთ ზარმაც ქართველებსა და მხნე სომხებსაო.

გუშინ გაზ. „Нов. Обозр.“-მ ამის პასუხად განაცხადა, რომ ეგ ტყუილია, სიცრუეა, ქალაქის თითქმის ყველა მამული ნახევარ ფასად არის დაფასებული და კიდეც ამიტომ განიზრახეს მამულების ხელ-ახლად დაფასებაო. გაზ. „Кавказъ“-ი ათს მამულს ვერ დაგვისახელებს იმისთანას, სულ ერთია, ვისიც უნდა იყოს ეს მამული,— რომ ერთი ორად ნახევარ ფასად არ იყოს დაფასებული ღირებულობასთან შედარებითაო.

ჯერ ის ვიკმაროთ, რომ, მაშასადამე, მართალი ყოფილა, ზოგიერთი მამულები ნახევარ ფასად არის დაფასებული ღირებულობასთან შედარებით. დავუცადოთ, ვნახოთ ამის პასუხად რას იტყვის „გულ-ახდილი მკვიდრი ქალაქისა“? ერთი რამ-კი საკვირველია, რადა ეხლა მოუნდა ქალაქის გამგეობას მამულების ხელ-მეორედ დაფასება, როდესაც ამომრჩეველთა ნუსხა უკვე შედგენილია. რატომ ადრევე, სიების შედგენამდე, არ იზრუნა ამ საქმისათვის? რომ ეზრუნა, ხომ შეიძლებოდა, რომ ამ სიაში ისინი არ მოჰყოლოდნენ, რომელნიც ეხლა მოჰყვნენ, რაკი იმათი მამული ერთი ორად დაფასდებოდა, დასაფასებელი გარდასახადიც ერთი ორადვე იმატებდა და შეიძლებოდა დროზედ არ შეეტანათ, და აგრეთვე მოჰყოლოდნენ ისინი, რომელთა მამულიც ეხლა მეტად მცირე ფასად არის დაფასებული, 1500 მან. ნაკლებ, რის გამოც უფლება არ ეძლევათ არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა?!..

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** რამდენიც დღე და საათი გადის, ბერძენთა და ოსმალეთს შორის ატეხილი აყალ-მაყალი თანდათან უფრო იწეწება. ყველამ იმედი დაჰკარგა, რომ ეს საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდეს. ის სახელმწიფო მოღვაწენი და გაზეთებიც, რომელნიც ამას წინად ერთობ თავ-გამოდებით ამტკიცებდნენ, რომ რადგან ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის ერთ-სულობა და ერთ-გულობა არსებობს („ევროპის კანცერტის“ შესახებაა საუბარი), ვერც ბერძნები და ვერც ოსმალეთი ვერას გაჰბედავენ და მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. დღეს თითქმის სასოწარკვეთილებას მისცემიან და სულ წინაამდეგის აზრისანი არიან. თანდათან აშკარავდება, რასაც ბევრნი არც წინედ ეჭვობდნენ,—რომ დიდნი სახელმწიფონი ბევრს რასმეში არ ეთანხმებიან ერთმანეთს. რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა საბერძნეთის სამეფოს ნაპირების შეზღუდვა, ალყის შემორტყმა გარდასწყვიტესო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს გარდაწყვეტილება ჯერაც არ შეუსრულებიათ და ამ საგნის შესახებ ახლაც დიდი სჯა-ბაასი აქვთ. ამასთანავე ამ საგნისავე შესახებ ისეთი არეულ-დარეული ამბები მოდის, რომ ვერავის გაუგია, რომელ სახელმწიფოს რა სწადიან, ანუ მომავალში რა გზას დაადგება.

როგორც ვიცით, ავსტრი-უნგრეთის მთავრობა იმ თავითვე პირველი მომხრე იყო იმ აზრისა, რომ კრიტელები და მასთან ერთად ყველა ბერძნები დაეტუქსათ, მათ წინააღმდეგ ძალ-მომრეობა ეხმარათ და ამ რიგად დაეცვათ მშვიდობიანობა. ამ ჟამად-კი, თუ მოსულ ამბებს ვერწმუნეთ, ავსტრიის მოქმედებამ ფერი იცვალა, იგი უკან უკან დგება საბერძნეთის მიმართ ძალ-დატანების საქმეში. გერმანია ამბობს, ჩემთვის სულ ერთია, კრიტი ოსმალეთის ხელში იქნება, თუ საბერძნეთს შეუერთდება და სხვის ხათრისთვის ერთს ჯარის-კაცსაც არ გავწირავო. იტალიის საქციელსაც ელფერი ეცვალა: აქამდის დიდ სახელმწიფოთა შეერთებულს ფლოტს კრიტის წყლებში იტალიის ფლოტის ადმირალი კანავერო უფროსობდა, ვითარცა უხუცესი კაცი, ხოლო ამ დღეებში განაცხადა, რომ, ჩემის მთავრობის ბრძანების თანახმად, ამის შემდეგ უფროსობას ვეღარ ვიკისრებო. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ იტალიის მთავრობა საბერძნეთის საქციელს ეხლა სულ სხვა თვალით უცქერის. ინგლისს ხომ წინადაც ყველანი ეჭვის თვალით უცქეროდ-

ნენ და ეს ეჭვიანობა ამ ბოლო დღეებში უფრო გაძლიერდა. ერთის სიტყვით, ეგრედ წოდებულის „ევროპიის კანცერტისა“ მხოლოდ სახელი-ღა დარჩა და სხვა არაფერი. კანცერტის მაგიერ დღეს ჩვენ მომღერალთა ისეთს გუნდსა ვხედავთ, საცა თითოეული მომღერალი მარტო თავისთვის გაჰკივის და სხვას-კი ყურს არ უგდებს. საყურადღებოა ის ამბავიც, რომ ოსმალეთსაც იმედი დაუკარგავს ამ „კანცერტისა“. ისიც დარწმუნებულა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უფრო გაამწვავეს და არივდარიეს საქმე, უფრო აალელვეს ბერძნები და იქამდის მიიყვანეს, რომ ახლა, საბერძნეთის მთავრობას ძალიანაც რომ უნდოდეს, უკან დაწევა გაუძნელდება.

როგორც ვიცით, პირველად ოსმალეთმა ქება-დიდებით მოიხსენია დიდ სახელმწიფოთა საქციელი, ეხლა-კი იმათთან გასაგზავნი ნოტა დაუმზადებია, რომელშიაც ნათქვამია, რომ, თქვენი ჭირიმე, ჩამოგვეცალეთ კრიტიდგან, ჩვენს საქმეში ნულარ ერევით და ჩვენ ვიცით და საბერძნეთმა, თქვენ დაუხმარებლად ერთმანეთს შორის ჩვენ, შეიძლება, მშვიდობიანად მოვრიგდეთო. კონსტანტინეპოლში მყოფი საბერძნეთის ელჩიც ამავე აზრისა არის და ამ შემთხვევაში პორტას მხარს უჭერს. იმავე ელჩს ისიც უთქვამს, რომ დიდი სახელმწიფოები რომ ჩვენს საქმეში არ გარეულიყვნენ და ხელი არ შეეშალათ, ჩვენა და ოსმალეთი აქამდის ასე თუ ისე ერთმანეთს კიდეც მოვურიგდებოდითო; ახლა-კი საქმე ისეა გამწვავებული, რომ, შეიძლება, უომრად ველარც-კი მოვრჩეთო.

ამ არეულობის დროს, როცა ერთს მეორესი აღარა სჯერა რა, როცა ერთი მეორეს ეჭვისა და დაუნდობლობის თვალით უცქერის, როცა ერთს მეორის აღარც ძმობა სწამს და აღარც მეგობრობა და ამასთანავე როცა „ევროპის კანცერტმა“ ოსმალეთის თვალშიაც-კი დაჰკარგა ნდობა, ევროპის ნეიტრალურ ერთა შორის სამშვიდობო ხმა გაისმა, ახალი პროექტი შემუშავდა, რომელსაც შეუძლიან, ელინთა ერიც, დიდნი სახელმწიფონიც და ოსმალეთიც დაამშვიდოს და ერთი მეორეს მოარიგოს ისე, რომ არც ერთი იმათგანი სირცხვილ ნაჭმევი არ დარჩეს. აი საქმე როგორ არის: შვეიცარიიდგან გაგზავნილი წერილია ბელგიის გაზეთებში დაბეჭდილი. ამ წერილის დედა აზრი ის არის, რომ კრიტს ხუთის წლის ვადით მიანიჭონ თვით მართველობა, რომელიც ევროპის დიდ-სახელმწიფოთა უზენაესის მფარველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. ამ ხნის განმავლობაში კრიტელები სულს მოითქვამენ, წელში გაიმართებიან, ეხლანდელი მღელვარებაც გაუვლით და ამასთანავე თვით-მართველობის ცუდსა და კარგს მხარესაც გამოსცდიან. ხუთის წლის შემდეგ-კი თითონვე კრიტელებს უნდა ეკითხოთ—სურთ, რომ იმათს ქვეყანაში ასეთი წეს-წყობილება დარჩეს, თუ საბერძნეთთან შეერთებას არჩევენ და რა სურვილსაც კრიტელები გამოსთქმენ, დიდნი სახელმწიფონიც იმას უნდა დაყაბულდნენ. საქმის ასე გარდაწყვეტა, ხსენებული წერილის ავტორის აზრით, სამართლიანიც იქმნება და ევროპას ომსაც ააშორებს. ამასთანავე, ეს დიდ-სახელმწიფოთა სურვილსაც არ ეწინააღმდეგება, რადგან ისინი იმთავითვე იმ აზრისანი იყვნენ, რომ კრიტელებს თვით მართველობა უნდა მიენიჭოთ, რადგან საბერძნეთთან შეერთება არა სურთო. კრიტელებიც დიდის სიამოვნებით დაჰყაბულდებიან ასეთს განაჩენს, რადგან საბერძნეთთან შეერთების იმედი სრულიად არ ესპობათ. ხოლო რაც შეეხება საბერძნეთსა და ოსმალეთს ისინი ხომ ამ შემთხვევაში ევროპას ურჩობას ვერ გაუწევენ და ვერა: პირველი იმათგანი იმიტომ, რომ საქმის ასე დაბოლოება იმისს სურვილს შეესაბამება და ხელსაც აძლევს, და მეორე, ე. ი. ოსმალეთი, იმიტომ, რომ საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტა იმისთვის სულ ერთია, რადგან კრიტი იმის ხელიდგან მაინც წასულია და მაინც.

ვგონებთ, ამაზედ უფრო გონივრულის მოსაზრების წარმოთქმა ძნელია, მაგრამ საქმე ის არის: დაადგებიან ამ გზას? არც საბერძნეთი, არც კრიტი და არც ოსმალეთი ამის წინააღმდეგნი არ იქმნებიან, დიდის სიხარულით მიეგებებიან ამას, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა შესახებ ეგევე არ ითქმის, რადგან, ცხადია, ოსმალეთის საქმეების არევ-დარევით ზოგი იმათგანი თავისის კერძო ანგარიშებისთვის სარგებლობს და ამ არევ-დარევას ხელსაც უწყობს.

---

## ნაკვესი

ერთი ლექსთა მთხზველი კითხულობდა თავისს შეთხზულს ლექსებს ერთს საზოგადოებაში. როცა გაათავა სთქვა:

— იმაზე უარესი არ არისრა, რომ შენს დაწერილს ლექსებს შენვე კითხულობ.

ერთი ქალი მჯდარა იქ და იმას უპასუხნია: მე მაგაზე უარესიც ვიციო.

— რაო? უკითხავს ავტორს.

— მაგაზე უფრო უარესი ის არის, რომ უნდა ვისხდეთ და მაგისთანაებს ყური ვუგდოთო.

***

ერთს ბალში ერთი ხანში შესული ქალი და მასთანაც მახინჯი ჰქტანცაობდა ერთ უმაწვილ კაცთან. ერთმა მაყურებელთაგანმა ჰკითხა მეორეს: ვინ არის ეს უმაწვილი კაცი?

მეორემ უპასუხა: კაცთ-მოყვარეობის საზოგადოების წევრი თუ იქმნება, თორემ სხვა ვინაო?

***

პარიზის აკადემიის წევრმა უთხრა ერთხელ სახელოვანს ვოლტერს: ჩვენი აკადემია უფროსი ქალი-შვილია პარიზის აკადემიისაო.

— კარგი ქალიშვილიც ყოფილა, რადგანაც იმაზე არამც თუ ცუდი რამ, არავის აქამდე ჭორადაც არა გაუგონიარაო, მოუჭრა სიტყვა ვოლტერმა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ამას წინად ჩვენს გაზეთში ეწერა, რომ ზოგიერთს 100 წელიწადზედ მეტი უცხოვრია და ისეთი ბედნიერნიც ყოფილან, რომელთაც 185 წლამდე მიუღწევიათო. ეხლა ეს არის საკითხი, როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ 185 წელს-კი არა და, 100 წლამდე მაინც მიაღწიოს? თვით იმ ღრმა მოხუცებულებს თუ ვკითხეთ, ვერაფერ რჩევას მოგვცემენ და იმათი ლაპარაკი მარტო ღიმილს მოგვგვრის; ზოგ მათგანს ისეთი ცხოვრება უტარებია, რომ იმათ თუ წავბაძეთ თქვენი მტერი, უფრო შეგვიმოკლდება სიცოცხლის დღენი.

ირლანდიის ერთი მემამულე ბრაუნი 120 წლისა გარდაიცვალა, იმის საფლავის ქვას აწერია: „აქ განისვენებს გვამი ბრაუნისა, რომელმაც 120 წლამდე იცოცხლა მხოლოდ ლუდის წყალობით. იგი მუდამ მთვრალი იყო და სიკვდილს ძლიერ ეშინოდა მისი. ერთხელ როდესაც ბრაუნი, რაღაც უბედურ შემთხვევისა გამო ფხიზელი იყო სიკვდილი ქურდულად მიეპარა და წუთი სოფელს გამოასალმა“.

ამ გვარი მაგალითი ბევრია. 1870 წელს მარსელში გარდაიცვალა 122 წლის კაცი ანიბალ კამუ, რომელიც ძლიერ ბევრს ღვინოსა სვამდა. 125 წელზედ გარდაცვლილი ჟორჟ კირტონი ლოთი იყო. ერთმა ქალმა იოანნა აბსტმა 155 წელს იცოცხლა. ამბობენ ამ ქალს ძლიერ უყვარდა არყის სმაო. ყასაბი ფილიპე ლაროკი უეჭველად კვირაში ორჯერ ითრობოდა და მაინც 102 წლამდე იცოცხლა.

ჯარა ექიმებმა პოლიტიმონმა და ესპანლომაც დიდ ხანს იცოცხლეს. ერთმა 140 წლამდე და მეორემ 112-მდე.. მათი თანამედროვენი ამტკიცებენ, ორთავე ექიმები ყოველ საღამოს მთვრალები იყვნენო.

ერთი ქალი ელისაბედი დიურია ყოველ დღე 40 ფინჯანს ყავასა სვამდა—გარდაიცვალა 114 წლისა, მადნის ერთმა მუშამ 133 წელიწადი იცოცხლა. ეს კაცი 80 წელიწადს მუშაობდა მადნებში. ქვრივი ქალი ლაუიე მუდამ ფეხ-შიშველა დადიოდა დიდის ყინვების დროსაც და 107 წლამდე იცოცხლა.

ეხლა ეს ვიკითხოთ, რას ამტკიცებს ყველა ეს მაგალითები? სრულიად არაფერს. რომელი ჭკუთა-მყოფელი კაცი იტყვის, რომ ლოთობა, ყაყის სმა და ზამთარში ფეხ-შიშველა სიარული ადამიანს დიდხანს აცოცხლებსო. ეს მაგალითები ამტკიცებენ მხოლოდ, რომ ზოგიერთ ადამიანს ბუნებითვე ისეთი ძლიერი აგებულება აქვს, რომ რაც უნდა ცუდად და დაუევრად იცხოვროს, მაინც ჯან-საღი რჩება და დიდხანს სცოცხლობს.

ზემოხსენებული კაცები არაფრით იყვნენ ცნობილნი გარდა დიდის ხნის სიცოცხლისა. ეხლა გამოჩენილ კაცებს მივმართოთ, რომელთაც დიდხანს უცოცხლიათ და ვნახოთ ისინი რაღას ამბობენ.

ბარტელემი სენტ-ილერი (90 წელიწადს იცოცხლა) ამტკიცებდა, ამდენს ხანს იმიტომ ვიცოცხლე, რომ ყოველთვის ადრე ვიძინებდი, ადრე ვდგებოდი და მთელ დღეს ვმუშაობდიო. მოლტკე ამბობდა, თუ კაცს დიდი ხნის სიცოცხლე უნდა, რაც შეიძლება მეტი უნდა ისეირნოსო. გლადსტონიც ამასვე ამბობს და გარდა ამისა ყველას ურჩევს, თუ დიდის ხნის სიცოცხლე გინდათ, ჭამის დროს თითოეული ლუკმა კარგად დაღეჭეთო. პოლმი ამტკიცებს, ვინც ველოსიპედით დადის, დიდხანს იცოცხლებსო. ვინ არის ამათში მართალი? უფრო რომ არც ერთი. მხოლოდ ეს-კი ნამდვილად არის დამტკიცებული, რომ ადამიანის ჩამომავლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივის სიცოცხლისათვის, მაგრამ დანარჩენთათვისაც შესაძლებელია, ცოტად თუ მეტად ხანგრძლივი სიცოცხლე. მერე რა არის საჭირო რომ ადამიანმა, რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს? რა უმატებს დღეს და რა უსწრაფებს სიკვდილს? ამაზედ სხვა დროს მოგახსენებთ.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ინიშნებიან: მე-10 სამხედრო დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი რებინდერი—ქვეითა ჯარის მე-13 კორპუსის უფროსად.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ერი, უუქვეშევრდომილ გრძნობათა ნიშნად, თან-და-თან მეტსა და ძვირფასს ნივთებს უძღვნის, მაგალითად ძვირფასს ხატებს, სინებს და სხვა. ხელმწიფე იმპერატორი აქამდე მოწყალებით ექცეოდა ყველა შემომწირველთ და არ ჰსურდა შეწირულების მიუღებლობით ეწყენინებინა ვისთვისმე. ხოლო ეხლა-კი, რადგანაც ამ შემოწირულებაზედ თან და თან მომეტებული ფული იხარჯება, ხელმწიფემ ბრძანა: გამოცხადებულ იქმნას, რომ ამიერიდგან მისთვის მხოლოდ ის იქნება სასიამოვნო, როდესაც საზოგადოება ან კერძო კაცი თავისს წვლილს შესწირავს საქველ-მოქმედო რამ დაწესებულებას, განსაკუთრებით ადგილობრივსაო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დისკონტი 3%-დგან 2½%-მდე დასწია.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: „მინისტრთა საბჭო დასთანხმდა წამოიყვანოს ოსმალეთის ჯარი კრიტის კუნძულიდგან, ხოლო იმ პირობით კი, რომ დიდმა სახელმწიფოებმა იკისრონ ამ კუნძულიდგან ჯერ საბერძნეთის ჯარის წაყვანა და კუნძულზედ მშვიდობიანობის დამყარებაო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონმა განაცხადა: მთავრობამ არაფერი იცის იმის შესახებ, ვითომ საფრანგეთს ეთქვას, კრიტის კუნძულიდგან მალე წაყვანილ უნდა იქმნას ჯარიო. საფრანგეთს უნდოდა მხოლოდ შეეტყო სხვა სახელმწიფოთა აზრი ამ საქმის შესახებ. ამ ჟამად ჯერ არ ითქმის, როდის წაიყვანს კრიტიდგან თავისს ჯარს ოსმალეთი. ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფომ გამოაცხადა, კუნძულიდგან ჯარი ჯერ საბერძნეთმა უნდა წაიყვანოსო. ამიტომ იმედია, რომ ჯერ საბერძნეთი შეუდგება ამ საქმეს.

**სოფია.** სულთანმა მთავარი და მთავრინა კონსტანტინეპოლში მიიწვია.

**კანეა.** სუდის ნავთ სადგურში მოვიდა რუსეთის სამხედრო გემი, მეორე პატარა გემით, ქვეითა ჯარის ერთის რაზმითა და ექვსის ზარბაზნით.

**ცეტინიე.** სკუტარიდგან ამბავი მოვიდა, რომ ქალაქის მიდამოებში თავ-მოყრილი ოსმალები სამშობლოში ბრუნდებიანო. ვაჭრობა კვლავ დაიწყო.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

21 თებერვალს ქუთაისის საკრებულო დარბაზში გამართულ სამუსიკო და სალიტერატურო საღამოდგან ქუთაისის საქვირაო სკოლის სასარგებლოდ შემოვიდა 519 მან. 59 კაპ., დაიხარჯა 144 მან. 39 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩა 375 მან. 20 კაპ. გულითადს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს, ამ საღამოში მონაწილეობა მიიღეს და ამითი ხელი შეუწყეს ამ კეთილს საქმეს, სახელდობრ ქ-ნ ძნელაძისას, ხარლანოვისას, ველიკომირსკაიას და იმათაც, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ხოროში, აგრეთვე ბ-ნ კომბიაჯიოს, სალაჩს, მესხს, ჩიქოვანს, ტარასევიჩს და ჟღენტს.

სალამოს გამგე ანნა ბეგლარის ასული ლორთქიფანიძისა.

---

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც კეთილ-ინებეს და მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინეს ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტის კასიანე ინგოროყვას სასარგებლოდ. აი თვით სია შემომწირველთა:

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა—5 მ., ო. ნიკოლაძისამ, ს. მგალობლიშვილმა ვ. ხარაზოვმა 2 მ; თითო მანეთი—ა. ხოშტარიამ, მღვდ. ნ. სამხარაძემ, კ. კაუხჩოვმა, ს. ბერეჟიანმა, ჯ. ბერეჟიანმა, ლ. ტუღუშმა, ი. კეჭელმაძემ, ა. ფრეზემ, ყ. ცეცხლაძემ, ი. ცალქალამანიძემ, ფ. მიმინოშვილმა, გ. კიკლაძემ, ი. ასათიანმა, მ. ალანიამ, ეკ. მღებრიშვილისამ, ი. კოხრეიძემ, ძ. საბახტარაშვილისამ, კ. რუხაძემ, ან. დუმბაძემ, ა. საბახტარაშვილმა, მღ. ი. ბორჩხაძემ, ალ. ხოშტარიამ, ს. გაჩეჩილაძემ, ი. ე. თურქიამ, ა. ხაინდრავამ, ა. ლოლუამ, ს. ჩოჩუამ, მ. წივწივაძემ, ე. გაბუნიამ, ბლაღ. მღვ. კ. ჭანტურიამ, კ. ინასარიძემ, ა. გუგუშვილმა, გ. კერესელიძემ, პ. ნამჩენკომ; 50 კ.—გ. კონკოშოვმა, ს. ჩხარტიშვილმა, მ. ალხაზოვმა, ს. კვინიხიძემ, ს. ლეიბმანმა, კ. მარღანაძემ, ი. გინცბურგმა და ი. გოგიბერიძემ,—და სულ 49 მან.

ამას გარდა ბ. ლ. ტუღუშმა გადმოგვცა 5 მანეთი; ამ ფულით შესდგა 54 მანეთი; ბ. ინგოროყვას გაეგზავნა დეპეშის საშუალებით, რადგან ფული უსათუოდ უნდა სამს მარტს ტომსკში ყოფილიყო, 50 მ., გასაგზავნი დეპეშით დაიხარჯა 2 მ. 45 კ., დანარჩენი 1 მ. 55 კ. ჩავყარე „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების“ ყულაბში.

ნინო მგალობლიშვილისა.
ქ. ფოთი.

---

# განცხადებანი


თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (11)

---

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

ქ. ფ. გლავაჩეკისა

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

თესლეულობის მაღაზიაში,

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის. (6—86—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Марта 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.